არსებული სიტუაციის ფოტოსურათები



იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 06 ოქტომბერი 2023 წ.

ერთის მხრივ, **შპს „მპ დეველოპმენტი"** (ს/კ: 404960217) (შემდგომში „მეიჯარე"), წარმოდგენილი **როლანდ გაბაძის** (პირადი #01031001178) სახით და მეორეს მხრივ, **შპს „საბჯორჯია"** (ს/კ: 405620831), წარმოდგენილი **სოფიო გაფრინდაშვილის** (პირადი #01031004156) სახით (შემდგომში „მოიჯარე"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მეიჯარე დროებით სარგებლობაში გადასცემს, ხოლო მოიჯარე იღებს მეიჯარის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, კერძოდ, **ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N145-ში** განთავსებული მეიჯარის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნაწილს, კერძოდ, მიწის ნაკვეთს 21 კვ.მ-ის ოდენობით (საკადასტრო კოდი: №01.72.14.013.621) (შემდგომში „ობიექტი).

1.2. მოიჯარე საიჯარო ობიექტს გამოიყენებს „SUBWAY"-ის კონტეინერის განსათავსებლად, ასევე კანონით აუკრძალავი კომერციული საქმიანობისათვის.

1.3. მოიჯარე ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია ობიექტის მდგომარეობა და რომ მას არ გააჩნია პრეტენზიები ობიექტის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

1.4. მოიჯარეს ობიექტი გადაეცემა მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე და მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან განხორციელდება საიჯარო ქირის დარიცხვა.

2. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების პირობები

2.1. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოიჯარის მიერ გადასახდელი ყოველთვიური საიჯარო ქირა შეადგენს **250 (ორას ორმოცდაათი) აშშ დოლარს დღგ-ს გარეშე,** გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.2. საიჯარო ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად, ხელშეკრულების მთლიანი ვადის განმავლობაში, ყოველი მომდევნო თვის 20 (ოცი) რიცხვამდე მეიჯარის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, მეიჯარის მიერ მოხდება თვის უკანასკნელ დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა, მაგრამ მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის გადახდა განხორციელდება გადახდის დღეს დადგენილი ოფიციალური კურსის შესაბამისად.

2.3. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მეიჯარის საბანკო ანგარიშზე.

2.6. მოიჯარე ვალდებულია გადაიხადოს კომუნალური გადასახადები ინდივიდუალური მრიცხველების საფუძველზე.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 მოიჯარე ვალდებულია:

3.1.1. გადაიხადოს საიჯარო ქირა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

3.1.2. მოუაროს ობიექტს და შეინახოს იგი არსებული სახანძრო, ტექნიკური და სანიტარული ნორმების დაცვით;

3.1.3. გადაიხადოს იჯარის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების ხარჯები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

3.1.4. იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის ან ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში დაუბრუნოს მეიჯარეს ობიექტი ვადის გასვლიდან ან შეწყვეტიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში;

3.1.5. მეიჯარის წერილობითი თანხმობის გარეშე არ მოახდინოს სარემონტო, კაპიტალური და სხვა სახის სამუშაოების წარმოება, გარდა მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისა;

3.1.6. მოიჯარე უფლებამოსილია მეიჯარის თანხმობის გარეშე ქვეიჯარით გასცეს საიჯარო ქონება ან მისი ნებისმიერი ნაწილი. ობიექტის მისი მიზეზით დაზიანების შემთხვევაში, მოახდინოს ამ დაზიანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით;

3.1.7. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

3.2 მოიჯარეს უფლება აქვს:

3.2.1. საკუთარი ხარჯით ჩაატაროს ობიექტის მიმდინარე რემონტი და გაუმჯობესებანი;

3.2.2. ისარგებლოს იჯარით აღებული ქონებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის;

3.2.3. თავისი სურვილისამებრ ობიექტზე მისი ფუნქციონირებისთვის დამატებით დაამონტაჟოს ყველა აუცილებელი ფუნქციონალური მოწყობილობა – დანადგარი და საოფისე ტექნიკა, ხოლო ამ ხელშეკრულების დამთავრებისას ან ვადამდე მოშლის შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით მოახდინოს მათი დემონტაჟი ობიექტის დაუზიანებლად;

3.2.4. განათავსოს აბრები (მათ შორის სარეკლამო ინფორმაციის მქონე) ობიექტის შიდა და გარე კედლებზე;

3.2.5. გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მასზე მინიჭებული უფლებები.

3.3 მეიჯარე ვალდებულია:

3.3.1. ხელი შეუწყოს მოიჯარეს ყველა საჭირო საბუთის მიღებაში (ცნობა, ნებართვა და სხვა), რომელიც შეიძლება მოითხოვონ ხელისუფლების ორგანოებმა წინამდებარე ხელშეკრულების ობიექტთან დაკავშირებით;

3.3.2. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების სხვა პირობები.

3.4 მეიჯარეს უფლება აქვს:

3.4.1. მოითხოვოს მოიჯარის ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

3.4.2 გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2032 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის პირობები

5.1. „ხელშეკრულების" ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში:

5.1.1 მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

5.1.2 ნებისმიერ დროს მოიჯარის მიერ ცალმხრივად და უპირობოდ, ყოველგვარი ზიანის, მიუღებელი შემოსავალის და სხვა ანაზღაურების ვალდებულების და „მეიჯარისათვის" სხვა ალტერნატიული მოიჯარის წარდგენის ვალდებულების გარეშე, აღნიშნულის თაობაზე მეიჯარის 1 (ერთი) თვით ადრე წერილობითი გაფრთხილების გზით.

5.1.3 „მეიჯარეს" მიერ ცალმხრივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „მოიჯარე" არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებას და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება „მეიჯარის" წერილობითი შეტყობინებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში. თუ მოიჯარე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში შეასრულებს ვალდებულებას/გამოასწორებს დარღვევას, მაშინ ხელშეკრულების შეწყვეტა დაუშვებელია.

5.1.4 „მეიჯარეს" მიერ ცალმხრივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „მოიჯარე" არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან ვალდებულებას და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება „მეიჯარის" წერილობითი შეტყობინებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. თუ მოიჯარე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში შეასრულებს ვალდებულებას/გამოასწორებს დარღვევას, მაშინ ხელშეკრულების შეწყვეტა დაუშვებელია.

5.2 რომელიმე მხარის მოთხოვნა ან ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას და არ გამომდინარეობს ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლიდან, თავიდანვე ჩაითვლება ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ, ხოლო ასეთი მოთხოვნის ან ქმედების განმახორციელებელი მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ უარი თქვას ამ მოთხოვნაზე/ქმედებაზე.

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის

მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

6.2. "დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ, კერძოდ, წყალდიდობა, მიწისძვრა, ეპიდემია, ომი და საომარი მოქმედებები, სამთავრობო ორგანოების მოქმედება, დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების მიღებასა და ცვლილებებთან, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივ სტატუსს და რეჟიმს.

6.3. თუ ნებისმიერი ზემოთხსენებული გარემოება უშუალოდ იმოქმედებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება.

6.4. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

6.5. შეუტყობინებლობა და/ან დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას, დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

6.6. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებულ უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

6.7. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს მხარეებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტისა ან გარემოებებისდა მიუხედავად გაგრძელების შესახებ. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისულ შეთანხმებას, დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დასკვნითი დებულებები

7.1. ხელშეკრულების ყოველი დამატება, ცვლილება ან/და შესწორება იურიდიული ძალის მქონეა, თუ ის შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

7.2. თუ ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში "მეიჯარე" გადაწყვეტს იჯარით გაცემული "ობიექტის" ან მისი ნაწილის მიყიდვას გარეშე მყიდველზე და არა „მოიჯარეზე", მაშინ ასეთი მყიდველი ხდება იჯარის ხელშეკრულების მონაწილე.

7.3. ყველა დავა უნდა გადაწყვეს მხარეთა შეთანხმებით, იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.4. ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.

7.5. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი წარედგინა საჯარო რეესტრს, დანარჩენი ორი ინახება მხარეებთან.

„მეიჯარე“	„მოიჯარე“
შპს „მპ დეველოპმენტი“ მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N74ბ ს/კ: 404960217 ----------	შპს „საბჯორჯია“ მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N74ბ ს/კ: 405620831 ----------
როლანდ გაბაძე (პ/ნ: 01031001178)	სოფიო გაფრინდაშვილი (პ/ნ: 01031004156)

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.72.14.013.621**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892024042518 - 17/07/2024 14:30:38

მომზადების თარიღი
23/07/2024 15:00:37

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი			
01	**72**	**14**	**013/621**

მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 145

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 2726.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **01.72.14.013.564; 01.72.14.013.467;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1, N2, N3

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882023003077 , თარიღი 04/01/2023 17:50:24
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 10/01/2023

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- შპს "მპ ფროფერთი"-ს (ს/კ 405227268) პარტნიორის გადაწყვეტილება , დამოწმების თარიღი:01/12/2017 , საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს მპ დეველოპმენტი , ID ნომერი:404960217

მესაკუთრე:
შპს მპ დეველოპმენტი

აღწერა:

იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882023467215 თარიღი 08/05/2023 13:21:07

იპოთეკარი: შპს "მმ" 402084757;
საგანი:დაზუსტებული ფართობი: 2726.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1, N2, N3 ;

ნასყიდობისა და პირველი რიგის იპოთეკის წარმოშობის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N 230588840, დამოწმების თარიღი08/05/2023, ნოტარიუსი დავით ოყროშიძე,

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 10/05/2023

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882011213102** თარიღი **06/05/2011 12:39:49**	**ქვემოიჯარე: სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი",** **ქვემეიჯარე: სააქციო საზოგადოება "სმარტ რითეილი"**205124346; საგანი:არასაცხოვრებელი ფართი 2.00კვ.მ; ვადა:3 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **23/05/2011**	**ქვექირავნობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი10/12/2010,**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი **902018081840** თარიღი **12/12/2018 16:57:17**	**ქვემოიჯარე: სააქციო საზოგადოება ოპპა**248429598; **ქვემეიჯარე: სააქციო საზოგადოება "სმარტ რითეილი"**205124346; საგანი:არასაცხოვრებელი ფართი: 0.5 კვ.მ; ; საბოლოო თარიღი:31/12/2021;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **17/12/2018**	**ხელშეკრულება არასაცხოვრებელი ფართის ქვეიჯარის შესახებ, დამოწმების თარიღი08/02/2017, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,** **შეთანხმება, დამოწმების თარიღი12/12/2018, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო** **შეთანხმება, დამოწმების თარიღი: 26/12/2019 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი **892017259322** თარიღი **22/12/2017 12:45:36**	**მეიჯარე: შპს მპ დეველოპმენტი** 404960217; **მოიჯარე: სააქციო საზოგადოება "სმარტ რითეილი"**205124346; საგანი:შენობა ნაგებობა N 1 და ამავე შენობა-ნაგებობის მიმდებარედ 120 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ; საბოლოო თარიღი:15/12/2037;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **27/12/2017**	**იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი22/12/2017, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი **892017259597** თარიღი **22/12/2017 13:03:58**	**მეიჯარე: შპს მპ დეველოპმენტი** 404960217; **მოიჯარე: სააქციო საზოგადოება "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"**202161098; საგანი:მიწის დაზუსტებული ფართობი: 2726.00 კვ.მ. - დან 2000 კვ.მ N 2 და N 3 შენობა-ნაგებობ(ებ)ი; საბოლოო თარიღი:15/12/2037;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **27/12/2017**	**იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი22/12/2017, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882022074247** თარიღი **31/01/2022 17:19:01**	**მოიჯარე: შპს "კიოსკ ჯორჯია"**405404003; საგანი:მისი ნაკვეთი 14.4 კვ.მ.; ვადა:10 წელი; **იჯარის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:31/01/2022 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **02/02/2022**	

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882020012583 თარიღი 09/01/2020 16:41:56	**ქვემოიჯარე: სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"**204378869; **ქვემეიჯარე: სააქციო საზოგადოება "სმარტ რითეილი"**205124346; საგანი:შენობა-ნაგებობის არასაცხოვრებელი ფართი 1.00 კვ.მ.; საბოლოო თარიღი:31/07/2025;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 14/01/2020	**არასაცხოვრებელი ფართის ქვეიჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი10/10/2013, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (უფლების რეგისტრაციის ნომერი 882013494118; თარიღი 10/10/2013) „** **დამატებითი შეთანხმება (2013 წლის 01 ოქტომბერის არასაცხოვრებელი ფართის ქვეიჯარის შესახებ ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე), დამოწმების თარიღი09/10/2015, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო , ,** **დამატებითი შეთანხმება (2013 წლის 01 ოქტომბერის არასაცხოვრებელი ფართის ქვეიჯარის შესახებ ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე), დამოწმების თარიღი03/10/2016, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,** **დამატებითი შეთანხმება (2013 წლის 01 ოქტომბერის არასაცხოვრებელი ფართის ქვეიჯარის შესახებ ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე), , დამოწმების თარიღი15/10/2018, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო** **2013 წლის 01 ოქტომბერს გაფორმებული არასაცხოვრებელი ფართის ქვეიჯარის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში-გარიგება) დამატებითი შეთანხმება N2019-002, დამოწმების თარიღი13/06/2019, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო** **არასაცხოვრბელი ფართის ქვეიჯარის შესახებ ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება N 2019-004, დამოწმების თარიღი09/01/2020, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო** **მხარეთა შორის 2013 წლის 01 ოქტომბერს გაფორმებული არასაცხოვრებელი ფართის ქვეიჯარის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში-გარიგება) დამატებითი შეთანხმება -2019-005, დამოწმების თარიღი13/07/2022, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო** **მხარეთა შორის 2013 წლის 01 ოქტომბერს გაფორმებული არასაცხოვრებელი ფართის ქვეიჯარის შესახებ ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება - 2019-006 , დამოწმების თარიღი17/07/2024, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892023088297 თარიღი 06/10/2023 11:28:09	**მოიჯარე: შპს "საბჯორჯია"**405620831; საგანი:მიწის ნაკვეთი 21 კვ.მ.; საბოლოო თარიღი:31/12/2032; **იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი06/10/2023, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/10/2023	

ვალდებულება

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882024814019 თარიღი 06/06/2024 13:01:37

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 12/06/2024

მეორე მხარე: **შპს მპ დეველოპმენტი** 404960217;
პირველი მხარე: **სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი"**204854595;

საგანი:დაზუსტებული ფართობი: 2726.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1, N2, N3 ; ; მესაკუთრე საკუთარი ნებით იმღუდავს ამ შეთანხმების 1.2 პუნქტში აღწერილი უძრავი ნივთის განკარგვას, გასხვისებას, უფლებრივად (მათ შორის იპოთეკით) დატვირთვას ან/და ამ ნივთთან დაკავშირებული ნებისმიერი გარიგების დადების უფლებას, გარდა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში უძრავი ქონების იჯარით /ქირავნობის უფლებით გაცემისა;

შეთანხმება უძრავი ნივთის განკარგვის შებღუდვის შესახებ,დამოწმების თარიღი06/06/2024, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოლებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge